გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 191

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში სტალინის გამზ.№16-ის მიმდებარედ საგზაო ნიშნის 3.27 „გაჩერება აკრძალულია“ საინფორმაციო დაფებით: 8.5.4 „მოქმედების დრო" 18.00-09.00 და „გარდა სამსახურეობრივი ტრანსპორტის" განთავსების შესახებ

ქალაქ გორში სტალინის ქ. №16-ის წინ, მოედანზე სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ხდება ავტომანქანების შეკრება, რაც იწვევს ხმაურს და ხელს უშლის აღნიშნულ შენობაში განთავსებულ ორგანიზაციების თანამშრომლებს მუშაობაში, რომლებიც რჩებიან სამუშაო საათების შემდეგ. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში სტალინის გამზ.№16-ის წინ, დ.ამილახვრის ქუჩის კვეთიდან არაუმეტეს 15მ-ში განთავსდეს საგზაო ნიშანი 3.27- „გაჩერება აკრძალულია“, საინფორმაციო დაფებით: 8.5.4 „მოქმედების დრო" 18.00-09.00 და „გარდა სამსახურეობრივი ტრანსპორტის".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში სტალინის გამზ.№16-ის მიმდებარედ, დ.ამილახვრის ქუჩის კვეთიდან არაუმეტეს 15მ-ში განთავსდეს საგზაო ნიშანი 3.27- „გაჩერება აკრძალულია“, საინფორმაციო დაფებით: 8.5.4 „მოქმედების დრო" 18.00-09.00 და „გარდა სამსახურეობრივი ტრანსპორტის".
2. ამ კანკარგულების თანახმად, დაევალოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განახორციელება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე